დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

ივლისი, 2023

კამერულმა ორკესტრმა „არპეჯიონე“ ოპერეტის საღამო გამართა

1 ივლისს, ფორარლბერგის მიწაზე, ჰოჰენემსის სასახლეში ოპერეტის საღამო გაიმართა.
ღონისძიებაზე კამერულმა ორკესტრმა „არპეჯიონე“ (Arpeggione Kammerorchester), რომლის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელია ვორარლბერგში მოღვაწე ქართველი ხელოვანი, ირაკლი გოგიბედაშვილი, შეასრულა არიები ცნობილი ოპერეტებიდან.

ანსამბლი „კავკასია“ ქ. ათენში ცეკვის საერთაშორისო ფესტივალზე წარსდგა

1-2 ივლისს, ქ. ათენში, „დორა სტრატუს" ცნობილ ღია თეატრში გაიმართა საბერძნეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, რიგით IX ცეკვის საერთაშორისო მულტიკულტურული ფესტივალი - „ბოლივუდი და მულტი-კულტურული ქვეყნები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრ ,,კავკასიასთან'“ არსებულმა ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა.
ფესტივალში მონაწილეობდა მსოფლიოს 15-ზე მეტი ქვეყანა.
2 ივლისს კი, ქ. ათენის თეატრ „კნოსოსში“, ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო პარტნიორი ბერძნული ქორეოგრაფიის სტუდიის გამოსაშვებ კონცერტში.

ქ. ათენის ბერძნულ-ქართულმა კულტურულმა ასოციაციამ წლის შემაჯამებელი ღონისძიება გამართა

2 ივლისს, ქ. ათენის ბერძნულ-ქართული კულტურული ასოციაციის ხელმძღვანელის, ხატია ქარსაულიძის ორგანიზებით წლის შემაჯამებელი კონცერტი - „მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა“ გაიმართა. კონცერტი ასოციაციასთან დაარსებული დავით გურამიშვილის სახელობის საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა გახსნეს. შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ბერძენი სტუმრები.



ბაჩკოვოს მონასტრის ტერიტორიაზე საინფორმაციო დაფა განთავსდა

2 ივლისს, სოფ. ბაჩკოვოში, ბულგარეთში საქართველოს საელჩოს ჩართულობით, საპატრიარქოსა და ბულგარეთში ქართული დიასპორის მხარდაჭერით, ბაჩკოვოს მონასტრის ღვთისმშობლის ქართული ხატის დღესასწაულის დღეს, გაიმართა მონასტრის ტერიტორიაზე საინფორმაციო დაფის განთავსების ცერემონიალი. დაფაზე ასახულია ქართველი ძმების გრიგოლ და აბას ბაკურიანის ძეების მიერ XI საუკუნეში კომპლექსის დაარსების ისტორია. აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა მონასტრის წინამძღვრის, მეუფე სიონის კურთხევით. განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს გორისა და ატენის ეპარქიის მიტროპოლიტმა ანდრიამ და სხვა სასულიერო პირებმა.

ღონისძიების პარალელურად მოეწყო ფოტოგამოფენა „საგანძური“, რომელიც წარმოადგენს შ. ამირანაშვილის სახელობის მუზეუმში დაცული ქრისტიანული ხელოვნების კოლექციის ალტერნატივას. დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა მაღალმხატვრული, ორიგინალების ზომებში შესრულებული ფოტო-ასლების საშუალებით გაცნობოდა ქართული ქრისტიანული კულტურის ყველაზე გამორჩეულ ნიმუშებს და მიეღო ინფორმაცია პროექტის შექმნის ისტორიის შესახებ.

ღონისძიებას ესწრებოდა ბულგარეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ოთარ ბერძენიშვილი.

ანსამბლ „ერისიონის“ კონცერტი ქ. კატერინში

9 ივლისს, ქ. კატერინში, ოლიმპოსის მთის ძირში, ბერძნულ ფესტივალ „ოლიმპოსის“ კულტურული პროგრამა გაიხსნა ანსამბლ „ერისიონის“ საოცარი წარმოდგენით.

კონცერტი საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და „ოლიმპოსის“ ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის მრავალთვიანი თანამშრომლობის შედეგად და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ქ. კატერინის მერმა კონსტანტინოს კუკოდიმოსმა და საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა, დარეჯან მუმლაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა პიერიის ოლქის გუბერნატორს, ქ. კატერინის მერს და ფესტივალის ხელმძღვანელობას მასპინძლობისთვის და თანამშრომლობისთვის. ასევე, ისაუბრა ქართული ხალხური ცეკვისა და პოლიფონიის ისტორიაზე, ხაზი გაუსვა ქართული სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „ერისიონი“ მაღალ პროფესიონალიზმს და ქართულ-ბერძნული ურთიერთობების კიდევ მეტად გასაღრმავებლად მსგავსი დონის კულტურული ღონისძიებების ჩატარების მნიშვნელობას.

ბერძენ მაყურებლებთან ერთად, კონცერტს ესწრებოდნენ ათენისა და თესალონიკის ქართული დიასპორული ორგანიზაციები, ქორეოგრაფიული ანსამბლები და შემოქმედებითი გაერთიანებები: ქ. ათენის კულტურის ცენტრი „კავკასია“ და მასთან არსებული ანსამბლი „კავკასია“, ბერძნულ-ქართული კულტურული ასოციაცია და მასთან არსებული ანსამბლი „ივერიელები“, ქ. ათენის ვახტანგ VI-ის სახელობის ქართული საკვირაო სკოლა, ბერძნულ-ქართული კულტურული საგანმანათლებლო ორგანიზაცია „არმაზი“ და მასთან არსებული ანსამბლი „არმაზი“, ქართულ-ბერძნული თეატრალური კულტურული ორგანიზაცია „დიონისე“ და ქართულ-ბერძნული კულტურული და საზოგადოებრივი ურთიერთობების ცენტრი „პეგასი-მერანი“.

კონცერტის დასასრულს „ერისიონის“ წევრებმა საბერძნეთის ქართული დიასპორის ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და ქორეოგრაფებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

ანსამბლ „ფესვების“ კონცერტი თბილისში

9 ივლისს, ქ. თბილისში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, ქ. ნიუ-იორკში მოქმედი ქართული კულტურის ცენტრმა „ფესვები“ სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართა სოლო კონცერტი სახელწოდებით - „დაბრუნება“.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ში დაბადებული და აღზრდილი თაობა პირველად წარსდგა ასეთი ფართო მასშტაბის საკონცერტო პროგრამით ქართველი მაყურებლის წინაშე.

კონცერტზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვლადიმერ კონსტანტინიდიმ და საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, გივი ჭიჭინაძემ.

გასტროლის ფარგლებში, ანსამბლ „ფესვების“ მეორე კონცერტი გაიმართა 2023 წლის 14 ივლისს, დაბა სტეფანწმინდაში.

ქ. ანტვერპენში თეატრალური წარმოდგენა გაიმართა

9 ივლისს, ქ. ანტვერპენში, ბერი გაბრიელის სახელობის ქართულმა საკვირაო სკოლამ და ლიტერატურულმა თეატრმა „ჩვენ დავბრუნდებით“ სპექტაკლი „ჩხიკვთა და წუნა-წრუწუნას ქორწილი“ წარმოადგინა.

თეატრალური წარმოდგენა გაიმართა ქ. ანტვერპენის საკვირაო სკოლის და ლიტერატურული წრის ხელმძღვანელის, მანანა ხორბალაძის სცენარის მიხედვით, ქართულ ზღაპრებზე დაყრდნობით.

სპექტაკლთან ერთად, ღონისძიების ფარგლებში, საკვირაო სკოლისა და ლიტერატურული თეატრის აღსაზრდელებმა წაიკითხეს ლექსები და შეასრულეს ქართველი კომპოზიტორების სიმღერები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ბელგიის სამეფოში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები, ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსი მეუფე დოსითეოსი, ქ. ანტვერპენის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი და ბელგიაში ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქ. ბრესტის საკვირაო სკოლამ სასწავლო წლის დასრულება აღნიშნა

15 ივლისს, ქ. ბრესტის ქართულმა საკვირაო სკოლამ, რომელიც ასოციაციის „პატარა საქართველო სან-ბრიუში (ss.Petite Georgie à Saint-brieuc)“ ფილიალია, სასწავლო წელი სპექტაკლით დაასრულა.

ქ. ბრესტის საკვირაო სკოლა 2023 წლის მარტში გაიხსნა.

შტუტგარტის ქართული ცეკვის სტუდია მსოფლიოს ხალხთა ფესტივალზე

11-16 ივლისს, ქ. შტუტგარტის მერიის მოედანზე მსოფლიოს ხალხთა ფესტივალი ჩატარდა, რომელშიც, 16 ივლისს მონაწილეობა მიიღო შტუტგარტის ქართული ცეკვის სტუდიამ. ცეკვის სტუდიისთვის ეს გახლდათ პირველი საერთაშორისო პრემიერა მსოფლიოს ხალხთა ფესტივალზე.

სტუდია 2022 წელს შტუტგარტში, ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების „Art Music Georgia“ და ანა ნანუაშვილის ხელმძღვანელობით დაარსდა.

მთელი კვირის მანძილზე „Art Music Georgia“ ფესტივალის სტუმრებს ქართული ტრადიციული კერძებითა და ქართული ღვინით უმასპინძლდებოდა.

ფესტივალს ესწრებოდნენ ქალაქ შტუტგარტის მერი, ფრანკ ნოპერი, შტუტგარტში საქართველოს გენერალური კონსული, ლევან ღვაჩლიანი, ქართული დიასპორის წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები.

ანსამბლმა „ჯორჯია“ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა

14-23 ივლისს, ქ. კუნარდოში, ვარესეს პროვინციაში გაიმართა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც 16 ივლისს სტუმრის სტატუსით მონაწილეობა მიიღო მილანის წმინდა თამარ მეფის სახელობის სამრევლოსთან არსებულმა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლმა „ჯორჯია“, გოდერძი კოხრეიძის ხელმძღვანელობით.

ანსამბლმა შეასრულა ულამაზესი ქართული ცეკვები და ფესტივალის ორგანიზატორებისა და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

„Dancing Crane Company“ ქ. შტუტგარტს ეწვია

16 ივლისს, ქ. შტუტგარტის სახელმწიფო თეატრში, საზოგადოებამ „Art Music Georgia“ უმასპინძლა ქ. ნიუ-იორკის კულტურულ ცენტრს „Dancing Crane Company - Georgian cultural Center“ ცენტრის პრეზიდენტ - ვიქტორ სირელსონთან და დირექტორ - ლიკა სირელსონთან ერთად. ამერიკაში არსებული ქართული თეატრი შტუტგარტის ქართველი საზოგადოების წინაშე წარსდგა მიუზიკლით „შერეკილები”. სცენაზე ასევე წარსდგა ყველასათვის ცნობილი ქართველი მსახიობი - ცუცა კაპანაძე.

სპექტაკლის დაწყებამდე გერმანიისა და ამერიკის ქართულ კულტურულ ცენტრებს შორის გაფორმდა პარტნიორობის ხელშეკრულება და გაიმართა კონცერტი, რომელიც შტუტგარტის ქართული ცეკვის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა გახსნა.

ქ. რენში სასწავლო წლის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა

16 ივლისს, ქ. რენში არსებული ასოციაციის „მსოფლიოს ხალხები“ საკვირაო სკოლამ „ფესვები“ და ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „გვირილა", ღია სივრცეში სასწავლო წლის შემაჯამებელი ღონისძიება გამართეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. რენში და მის გარშემო მცხოვრები ქართველები.

ახალგაზრდული ბანაკები ანაკლიასა და შაორში

16-29 ივლისს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ - „ახალგაზრდობის სააგენტოს“ ორგანიზებით და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინიტროს ჩართულობით, „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის” პროგრამის ფარგლებში გაიხსნა ანაკლიისა და შაორის ახალგაზრდული ბანაკები. პროგრამის მიზანია საზღვარგარეთ მცხოვრები მოზარდების ისტორიულ სამშობლოსთან კავშირების განმტკიცება და მოზარდებისთვის საგანმანათლებლო-შემეცნებითი, სპორტული და კულტურული გარემოს შექმნა.

წლევანდელ ბანაკებში მონაწილეობა მიიღეს 14-18 წლის ახალგაზრდა თანამემამულეებმა ესპანეთიდან, იტალიიდან, ნიდერლანდების სამეფოდან, ირლანდიიდან და თურქეთიდან.

ბანაკში მონაწილეთა გამგზავრება განხორციელდა 3 ნაკადად: I ნაკადი - 16-22 ივლისი, ანაკლია; II ნაკადი - 23-29 ივლისი, ანაკლია და 22-26 ივლის, შაორი.

პროექტის ფარგლებში, მონაწილეებს მიეცათ შესაძლებლობა, დაემყარებინათ ურთიერთობები ქართველ და უცხოელ თანატოლებთან, გაეუმჯობესებინათ ქართული ენის ცოდნა, განევითარებინათ საკომუნიკაციო და სხვა სახის უნარ-ჩვევები, მონაწილეობა მიეღოთ ბანაკის მრავალფეროვან აქტივობებში და გამოევლინათ საკუთარი შესაძლებლობები.

„ახალგაზრდა ელჩის“ სტუმრობა უნგრეთში საქართველოს საელჩოში

21 ივლისს, უნგრეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, თამარ ლილუაშვილმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულს, მარიამ ქებაძეს საელჩოში უმასპინძლა.

გაცნობითი შეხვედრის ფარგლებში, მარიამ ქებაძემ საქართველოს ელჩს თავისი ხედვები და სამოქმედო გეგმა გააცნო. თამარ ლილუაშვილმა კი თავის მხრივ, საკუთარი გამოცდილება და რჩევები გაუზიარა „ახალგაზრდა ელჩს“ და მის საქმიანობაში თანამშრომლობა და მხარდაჭერა აღუთქვა.

ანსამბლმა „ქართული სული“ წლის შემაჯამებელი კონცერტი გამართა

25 ივლისს, ქ. ტორონტოში, ანსამბლ „ქართული სულის“ ხელმძღვანელობით გაიმართა 2022-2023 წლის შემაჯამებელი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლის სტუდიის აღსაზრდელებმა. სტუდიაში როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ბავშვები ეუფლებიან ქართულ კულტურასა და ხელოვნებას.

ანსამბლი 2010 წლიდან მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ფესტივალსა და საქველმოქმედო ღონისძიებაში.

კონცერტს ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები.

საქართველოს ელჩის ვიზიტი ბურსის რეგიონში

22 ივლისს, საქართველოს ელჩი, გიორგი ჯანჯღავა, საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, თორნიკე რიჟვაძის ბურსის რეგიონში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, თურქეთის მარმარილოს რეგიონის კავკასიურ-ქართული ასოციაციების ფედერაციასა და ქ. ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციას ეწვია და შეხვედრა გამართა ხსენებული, ასევე, რეგიონში მოქმედი სხვა ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელ პირებთან და წევრებთან.

შეხვედრებზე, აღინიშნა დიასპორის მნიშვნელოვანი როლი ხალხთაშორისი კავშირების გაღრმავების საქმეში და გამოითქვა მზაობა, სამომავლოდაც ერთობლივი პროექტების განხორციელებისა და ორგანიზების მიმართულებით კიდევ უფრო გააქტიურებასა და თანამშრომლობის გაღრმავებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ელჩი, გიორგი ჯანჯღავა, აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, საელჩოს თანამონაწილეობითა და აქტიური ჩართულობით, საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან, თორნიკე რიჟვაძესთან და დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, დაესწრო თურქეთის მარმარილოს რეგიონის კავკასიურ-ქართული ასოციაციების ფედერაციაში შემავალი ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალს. ხსენებულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივი ქართული დიასპორული ასოციაციების ბაზაზე მოქმედმა ანსამბლებმა, ასევე, საქართველოდან, კერძოდ, ქუთაისიდან და ბათუმიდან მიწვეულმა შემოქმედებითმა კოლექტივებმა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას, საქართველოს ელჩმა მადლობა გადაუხადა თურქულ მხარეს ბურსის რეგიონში მოქმედი ქართული ასოციაციების საქმიანობის ხელშეწყობისა და მხარდაჭერისათვის.

საქართველოს ელჩმა, აგრეთვე, გამოხატა მადლიერება ფესტივალის ორგანიზატორებისა და დიასპორის წარმომადგენლებისადმი თურქეთის რესპუბლიკაში ქართული კულტურის პოპულარიზაციასა და ხალხთაშორისი კავშირების გაღრმავებაში შეტანილი წვლილისთვის და ზემოაღნიშნული ფედერაციისა და ასოციაციის ხელმძღვანელებს გადასცა მადლობის სიგელები.

ღონისძიებას, ქართულ დელეგაციასთან ერთად, ესწრებოდნენ ქ. ბურსას მერი, ალინურ აქთაში, აგრეთვე, ქ. ინეგოლის მერი და გამგებელი, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები, თურქეთის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის რეგიონალური ოფისების ხელმძღვანელი პირები, ადგილობრივი მოსახლეობა და ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ქართული დიასპორული ასოციაციების ხელმძღვანელები და წევრები.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვლადიმერ კონსტანტინიდიმ ისრაელის სახელმწიფოში გამართა შეხვედრები

28 ივლისს - 1 აგვისტოს, ისრაელის სახელმწიფოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ვლადიმერ კონსტანტინიდის შეხვედრები ისრაელის სახელმწიფოს დიასპორისა და ანტისემიტიზმთან ბრძოლის მინისტრთან, ამიხაი შიკლისთან, ქნესეთის დიასპორის, აბსორბციისა და ემიგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ოდედ ფორერთან და ებრაული სააგენტოს „სოხნუთის“ თავმჯდომარესთან, დორონ ალმოგთან.
შეხვედრებს ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში, ლაშა ჟვანია და სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი, მუხრან გულაღაშვილი.
შეხვედრებზე ისრაელის მხარემ ქართულ დელეგაციას გაუზიარა დიასპორასთან თანამშრომლობის თავისი მრავალწლიანი გამოცდილება. ასევე, ისრაელის მხარემ მიაწოდა ინფორმაცია ისრაელის ხელისუფლების მიდგომის ძირითად ასპექტებსა და გამოწვევებზე.
ვლადიმერ კონსტანტინდიმ მადლობა გადაუხადა მასპინძლებს საინტერესო ინფორმაციისთვის და მოკლედ გააცნო საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ქართულ დიასპორასთან დაკავშირებით.
შეხვედრის დასასრულს მხარეები შეთანხმდნენ ორ ქვეყანას შორის დიასპორის საკითხებზე თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებაზე.
ვიზიტის ფარგლებში, ასევე, გაიმართა შეხვედრა ისრაელის სახელმწიფოში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, დიასპორის აქტიურ წევრებთან და ქართველ ებრაელთა თემის წარმომადგენლებთან.
დიასპორული ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე, მინისტრის მოადგილემ ყურადღება გაამახვილა ქართული დიასპორის მნიშვნელოვან როლზე საქართველოს განვითარების და საზღვარგარეთ ქვეყნის პოზიტიური იმიჯის წარმოჩენის საქმეში და აღნიშნა, რომ დიასპორასთან ურთიერთობა საქართველოს მთავრობის და საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ვლადიმერ კონსტანტინიდიმ, აგრეთვე, ისაუბრა იმ პროგრამებსა და ინიციატივებზე, რასაც საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებს საზღვარგარეთ მყოფ თანამემამულეებში კულტურული და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიმართულებით. შეხვედრის დასასრულს მინისტრის მოადგილემ მადლობა გადაუხადა ორგანიზაციის ხელმძღვანელებს და წევრებს მათ მიერ გაწეული საქმიანობისთვის და მათთან შემდგომი ინტენსიური კომუნიკაციის მზად ყოფნა გამოთქვა.
ქართველ ებრაელთა თემის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს საქართველო-ისრაელის ურთიერთობების ძირითად ასპექტებსა და ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივებზე. ასევე, ხაზი გაესვა ქართველი ებრაელების მნიშვნელოვან როლს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების საკითხში.

ქ. მირგოროდში დავით გურამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა

29 ივლისს, ქ. მირგოროდში დავით გურამიშვილის სახელობის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში, მუზეუმისა და პოლტავის რეგიონში დიასპორული ორგანიზაციის - პოლტავის რეგიონული ქართველთა საძმო „გეორგია''-ს ხელმძღვანელის, რამაზ ზარქუას ორგანიზებით, დავით გურამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში გაიხსნა 2 თემატური გამოფენა: „ქართველი პოეტი უკრაინის მიწაზე“, სადაც წარმოდგენილი იყო მხატვრული ნამუშევრები მუზეუმის ფონდებიდან და აღმოსავლური იარაღების გამოფენა მეცენატ დიმიტრი გორიაჩკინის პირადი კოლექციიდან. ასევე, შესრულდა თემატური მუსიკალური ნომრები, დაიდგა მინი-სპექტაკლი მუზეუმის თანამშრომლების მონაწილეობით.

ღონისძიების ფარგლებში, სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს პოეტის საფლავი და მუზეუმთან არსებული დავით გურამიშვილის ძეგლი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ უკრაინის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ქართული დიასპორის წევრები, უკრაინაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული ლევან წურწუმია, ვიცე-კონსული ტატო ყიფშიძე, უფროსი მრჩეველი გიორგი გოლეთიანი, ელჩის თანაშემწე ზაზა წულაია და პოლტავას რეგიონული ქართული საძმო „საქართველოს“ წევრები, რამაზ ზარქუას ხელმძღვანელობით, რომელმაც მუზეუმს საჩუქრად ქართველი ბავშვების მიერ შესრულებული ნახატები და ხელნაკეთი ნივთები გადასცა.

ტექნიკური ხარვეზის გამო, ივნისის „დიასპორულ საინფორმაციო ბიულეტენში“ გამოტოვებული ღონისძიებები შეუქდება მიმდინარე ნომერში

ქ. ბათიამიში დიასპორული სკოლა „მამულის“ დაარსების 5 წლის იუბილე აღინიშნა

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, ქ. ბათიამიში, დიასპორული სკოლა „მამულის“ დაარსების 5 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სკოლის აღსაზრდელებმა, ქ. ბათიამის „აუდიტორიუმში“ მუსიკალური სპექტაკლი „იავნანამ რა ჰქმნა?!“ წარმოადგინეს.

სპექტაკლში ასევე მონაწილეობდნენ ისრაელში ახლადდაარსებული ქართული ცეკვის ანსამბლ „ფესვების“ წევრები.

თესალონიკის ქართულმა საკვირაო სკოლამ ქართულ საღამოში მიიღო მონაწილეობა

7 ივნისს, ქ. თესალონიკში გაიმართა ქართული საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საბავშვო ფოლკლორულმა ანსამბლმა „ქართული გენი“. ანსამბლი შეიქმნა თესალონიკის ქართული საკვირაო სკოლის ხელმძღვანელის, სოფო ხელაშვილის ძალისხმევით და დაკომპლექტებულია საკვირაო სკოლის მოსწავლეებით. ბავშვები სწავლობენ ქართულ ხალხურ და საესტრადო სიმღერებს.

ქ. ნეაპოლსა და ქ. მილანში გაიმართა შეხვედრა ქართველ და იტალიელ პოეტებთან

8 ივნისს, ქ. ნეაპოლში, მილანის ასოციაცია „სამშობლო გულით სატარებლისა“ და ნეაპოლის ასოციაცია „ვაზის“ ინიციატივით, ხოლო 11 ივნისს, ქ. მილანში, ასოციაცია „სამშობლო გულით სატარებლის“ ინიციატივით პროექტ „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა ქართველ და იტალიელ პოეტებთან.

შეხვედრაზე წარდგენილ იქნა ქართველი და იტალიელი პოეტი ქალების ორენოვანი კრებული „როცა ქვეყნებს სძინავთ“ (მთარგმნელი ნუნუ გელაძე) და ნოდარ დუმბაძის მოთხრობების კრებული „მზე“ (მთარგმნელი რუსკა ჟორჟოლიანი).

ღონისძიებიაზე ლექსები ქართულ და იტალიურ ენაზე წაიკითხეს მთარგმნელმა და თავად ავტორებმა: მარიამ წიკლაურმა, ნინია სადღობელაშვილმა, რიტა პაჩილიომ და ანიტა პისკაციმ.

ქ. ლე ჰავრში ცეკვის სტუდია „კოლხიდას“ კონცერტი გაიმართა

10 ივნისს, ქ. ლე ჰავრში, ცეკვის სტუდია „კოლხიდა“, რომელიც საფრანგეთის ქალაქ ლე ჰავრში სულ რამდენიმე თვის წინ დაარსდა, ფრანგი მაყურებლის წინაშე ქართული ტრადიციული ცეკვებით წარსდგა.

რომის საკვირაო სკოლა „ფესვების“ მოსწავლეების შეხვედრა საბავშვო მწერალ მარიამ წიკლაურთან



14 ივნისს, ქ. რომში, მილანის ასოციაცია „სამშობლო გულით სატარებლის“ ხელმძღვანელის ნუნუ გელაძისა და რომის საკვირაო სკოლა „ფესვების“ ხელმძღვანელის ნენო გაბელიას ინიციატივით, იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში გაიმართა საკვირაო სკოლის აღსაზრდელების შეხვედრა საბავშვო მწერალ მარიამ წიკლაურთან.
ღონისძიება ჩატარდა იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით.
შეხვედრას ესწრებოდნენ საკვირაო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეების მშობლები.



ქ. რომში პოეტური ანთოლოგიისა და ნოდარ დუმბაძის მოთხრობების კრებულის იტალიური თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა

15 ივნისს, ქ. რომში, პროექტ „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში გაიმართა პოეტური ანთოლოგიის „როცა ქვეყნებს სძინავთ - 7 ქართველი და 7 იტალიელი პოეტი ქალი სიფხიზლისთვის“ და ნოდარ დუმბაძის მოთხრობების კრებულის „მზე“ იტალიური თარგმანის პრეზენტაცია.
ღონისძიება ვატიკანში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონმა გახსნა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და იტალიელმა პოეტებმა: მარიამ წიკლაურმა, ანიტა პისკაციმ, ნინია სადღობელაშვილმა, ფრანჩესკა სერანიოლიმ. პოეტები და მათი შემოქმედება საზოგადოებას წარუდგინა, ანთოლოგიის შემდგენელმა და მთარგმნელმა, ნუნუ გელაძემ.
ღონისძიებას „დანტე ალიგიერის საზოგადოებამ“ ფლორენციის სასახლეში უმასპინძლა და მას ვატიკანში აკრედიტებული დიპლომატები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები დაესწრნენ.
აღსანიშნავია, რომ 10 ივნისს პროექტის „ცოცხალი წიგნების“ დაფინანსებით ქართველმა პოეტებმა მონაწილეობა მიიღეს გენუის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალში.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO